საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
ნ ა ნ ი ვ
საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
მეტამიანდა ნორმატიული აქტების
საჯაროდ ხელმისაწვდომი რეესტრი და ინფორმაციული
ბანკის საქართველოს სანორმატიო ბეჭდი
„25" 08 2010 წ.
№ 210.020.020.35.112.000430

საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2800 ქ. ლანჩხუთი, კოსტავას №37 T -8210 2 30 05

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №29

ქ.ლანჩხუთი 12 აგვისტო, 2010 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 2 აპრილის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებისა და დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" №11 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" და „დ" ქვეპუნქტისა და 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ" ქვეპუნქტის, აგრეთვე „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3-ე მუხლის და მე-12 პრიმა მუხლის შესაბამისად,

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებისა და დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" №11 დადგენილებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებისა და დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ"

ბ) დადგენილების პირველი მუხლის „ბ" პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავალბინიან სახლებში მცხოვრები მოსახლეობისათვის დასუფთავების მოსაკრებლის განაკვეთი განისაზღვროს ერთ სულ მოსახლეზე 0,60 ლარით თვეში, ლანჩხუთის მუნიციპალიტეეტის ტერიტორიაზე მცხოვრები დანარჩენი მოსახლეობისათვის ერთ ოჯახზე 2,5 ლარით თვეში, თუ ოჯახი შედგება ერთი წევრისაგან მოსაკრებლის განაკვეთი განისაზღვროს 1,5 ლარით თვეში. სოფელ გრიგოლეთის სეზონურ დამსვენებლებზე მოსაკრებლის რაოდენობა განისაზღვროს 1,5 ლარით თითოეულ დამსვენებელზე თვეში".

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტიძე